

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. ამონაგები რეალიზაციიდან და მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება	12
6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13
8. კომერციული ხარჯები	13
9. საპროცენტო ხარჯი	14
10. შემოსავალი/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	14
11. ძირითადი საშუალებები	15
12. ბიოლოგიური აქტივები	16
13. გაცემული სესხები	17
14. სასაქონლო მატერიალური მარაგები	17
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
16. ფული და ფულის ექვივალენტები	18
17. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება	18
18. მიღებული სესხები	19
19. საგადასახადო ვალდებულება	19
20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	20
22. პირობითი ვალდებულებები	21
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	21

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	23
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	24
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	25
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	25
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	26
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“-ს ხელმძღვანელობას და მეწილეებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის შიდა კონტროლის სისტემა და სააღრიცხვო ჩანაწერები ვერ უზრუნველყოფს მოძრავი ქონების მიკვლევადობას და იდენტიფიცირებადობას. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რათა დავრწმუნებულიყავით მიწის, შენობა-ნაგებობების, სპეციალური ავზების და სატრანსპორტო საშუალებების გარდა სხვა ჯგუფებში წარდგენილი ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სიზუსტესა და არსებობაში. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 824 ათას ლარს (31 დეკემბერი 2023: 964 ათასი ლარი). შედეგად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა წარდგენილ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება იყო მოდიფიცირებული ძირითადი საშუალებების ნაწილის ისტორიულ ღირებულებასთან დაკავშირებით საკმარისი და შესაფერისი დოკუმენტაციის ვერ მოწოდების გამო. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღო მტკიცებულებები ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების ჩატარებით 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული ამ ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებაზე, რომელთა საბალანსო ღირებულება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 369 და 389 ათას ლარს. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ძირითადი საშუალებების ღირებულებასთან და ცვეთის ხარჯთან დაკავშირებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვესურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე, კომპანიის 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის პერიოდის სრულმა ზარალმა შეადგინა 332 და 1,320 ათასი ლარი. როგორც მე-4 შენიშვნაშია აღნიშნული, პერიოდის ზარალი ძირითადად უკავშირდება გასულ წლებში გაყიდვების შემცირებას და არარენტაბელურ შედეგს საკუთარ ვენახებში. კომპანიის მენეჯმენტმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები რამაც უნდა უზრუნველყოს საქმიანობის შეუფერხებელი ფუნქციონირება და შედეგების გაუმჯობესება. მომავალ წლებში რეალიზაციის მოცულობის ზრდა და საკუთარ ვენახებში რენტაბელობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს შეუფერხებელი ფუნქციონირება. ეს გარემოებები, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს კომპანიის უნარზე, განაგრძოს საქმიანობა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპით.

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 22-27 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი,

ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეყრდნობით გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

22 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ი. კუტიბაშვილი

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS A-629166)

22 სექტემბერი, 2025

თბილისი, საქართველო

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	7,059	6,300
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(4,960)	(4,865)
საერთო მოგება		2,099	1,435
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება			
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით	5	(114)	(620)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,687)	(1,397)
კომერციული ხარჯები	8	(787)	(947)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		156	374
საოპერაციო ზარალი		(333)	(1,155)
საპროცენტო შემოსავალი		37	34
საპროცენტო ხარჯი	9	(71)	(112)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	10	35	(87)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(332)	(1,320)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(332)	(1,320)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 22 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები რეალიზაციიდან	5	7,059	6,300
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	6	(4,960)	(4,865)
საერთო მოგება		2,099	1,435
მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება			
შემცირებული მოყვანის დანახარჯებით	5	(114)	(620)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(1,687)	(1,397)
კომერციული ხარჯები	8	(787)	(947)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		156	374
საოპერაციო ზარალი		(333)	(1,155)
საპროცენტო შემოსავალი		37	34
საპროცენტო ხარჯი	9	(71)	(112)
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან	10	35	(87)
ზარალი გადასახადების გადახდამდე		(332)	(1,320)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(332)	(1,320)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 22 სექტემბერს:



 ნინო აბრამიშვილი

 დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	6,729	7,135
ბიოლოგიური აქტივები	12	1,885	1,988
არამატერიალური აქტივები		6	9
გაცემული სესხები	13	181	159
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,801	9,291
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14	3,925	3,328
გაცემული სესხების მიმდინარე ნაწილი	13	-	207
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	801	1,390
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	23	19
სულ მიმდინარე აქტივები		4,749	4,944
სულ აქტივები		13,550	14,235
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	17	6,563	6,563
გაუნაწილებელი მოგება	17	3,496	3,828
სულ კაპიტალი		10,059	10,391
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	18	297	378
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		297	378
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულება	19	189	110
მოკლევადიანი სესხები	18	985	1,127
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20	2,020	2,229
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,194	3,466
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,550	14,235

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	6,563	5,148	11,711
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(1,320)	(1,320)
31 დეკემბერი 2023	6,563	3,828	10,391
მიმდინარე წლის სრული ზარალი	-	(332)	(332)
31 დეკემბერი 2024	6,563	3,496	10,059

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
ზარალი დაბეგვრამდე	(332)	(1,320)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	576	635
ფინანსური ხარჯი	71	112
ფინანსური შემოსავალი	(37)	(34)
სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურების ხარჯი	21	15
ბიოლოგიური აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ზარალი	-	44
ბიოლოგიური აქტივების სამართლიანი ღირებულების მოძრაობა შემცირებული მოვლის დანახარჯებით	114	620
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	261	(38)
საკურსო მოგება/(ზარალი)	(35)	87
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში მომხდარ ცვლილებებამდე	639	121
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სასაქონლო მატერიალური მარაგებში	(732)	(313)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	641	177
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(211)	578
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	79	35
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	416	598
გადახდილი პროცენტი	(22)	(101)
მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	394	497
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(64)	(35)
გაცემული სესხები	(26)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(90)	(35)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	(264)	(442)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(264)	(442)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა	40	20
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	19	44
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(36)	(45)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	23	19

1. კორპორატიული ინფორმაცია

შუხმან ვაინს ჯორჯია (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანია დაფუძნდა 2008 წლის იანვარში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205237518. 2009 წელს კომპანიამ შეირჩა შპს ღვინისა და ვენახების ქართული კარტელი-ვინოტერა.

ძირითადი საქმიანობა. შპს შუხმან ვაინს ჯორჯიას ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ღვინის და სხვა ალკოჰოლური სასმელების წარმოება, სასტუმრო და სარესტორნო საქმიანობა. კომპანია ღვინის წარმოებას ახორციელებს როგორც საკუთარ ვენახებიდან მიღებული მოსავლით, ასევე ახორციელებს ყურძნის შესყიდვას ადგილობრივ ბაზარზე.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომპანია ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს, ვენახებს სადაც გაშენებულია სხვადასხვა სახეობის ყურძნის ჯიშები. კომპანიას საკუთრებაში აქვს 100 ჰექტრამდე ვენახები, სადაც გაშენებული აქვს სხვადასხვა ჯიშის ყურძნები, როგორიცაა: საფერავი, რქაწითელი და ა.შ. ასევე, კომპანიის მართვაში არის 19 ნომრიანი სასტუმრო კომპლექსი “THE SCHUCHMANN WINES CHÂTEAU”, კომპლექსის ნაწილს წარმოადგენს ბარ-რესტორანი, სადაც მომხმარებელს შეუძლია დააგემოვნოს ადგილობრივი წარმოების ღვინოები. კომპლექსი მომხმარებელს ასევე სთავაზობს შემდეგი სახის დამატებით მომსახურებებს: ღია და დახურული აუზი, სპა, სამუშაო შეხვედრების და კონფერენციებისთვის მოწყობილი ოთახები, კულინარიული მასტერ კლასები, სხვადასხვა გასართობი აქტივობები და სადღესასწაულო ღონისძიებები.

კომპანიაში 2024 წელს საშუალოდ დასაქმებული იყო 136, ხოლო 2023 წელს 131 თანამშრომელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავის რაიონი, სოფელი კისისხევი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის კომპანიის მეწილეებს წარმოადგენდნენ:

- შპს ენ ეი გრუპი - 40.8%
- შპს შუხმან კაპიტალი - 39.2%
- ნინო აბრამიშვილი - 10%
- გიორგი დაქიშვილი - 10%

შპს ენ ეი გრუპის 100%-იანი წილის მფლობელია ნინო აბრამიშვილი. შპს შუხმან კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია - ბურკჰარდ შუხმანის ფონდი /გერმანია, ხოლო ფონდის 100%-იანი წილის მფლობელია ბურკჰარდ კრისტიან შუხმანი. შესაბამისად, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა ფიზიკური პირი ნინო აბრამიშვილი.

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებული შეფასებები და დაშვებები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10 - 50
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5 - 50
სპეციალური ავზები	10 - 50
საოფისე ინვენტარი და ავეჯი	2 - 15
რესტორნისა და სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	2 - 20
სატრანსპორტო საშუალებები	5 - 15
სხვა აქტივები	5 - 20

ბიოლოგიური აქტივები. კომპანიის ბიოლოგიური აქტივები მოიცავს ვენახებს, ვინაიდან ამ ბიოლოგიური აქტივების კატეგორიისთვის, რეალური ღირებულების ადვილად განსაზღვრა მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე შეუძლებელია, კომპანია ბიოლოგიურ აქტივებს აფასებს თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ვაზის გაშენება წარმოდგენს ხარჯს, რომელიც გაიწია ახალი ვაზის ჩასაყრელად და მოსავლელად პირველი მოსავლის მოწევამდე. მას შემდეგ, რაც ვაზი მოსავალს იძლევა, მიმდინარედ გაწეული დანახარჯები აღარ კაპიტალიზირდება და წარდგება მიღებული მოსავლის რეალურ ღირებულებასთან ერთად.

ბიოლოგიური აქტივებიდან მიღებულ სოფლის მეურნეობის პროდუქტი ფასდება რეალურ ღირებულებას გამოკლებული გაყიდვისთვის საჭირო სავარაუდო დანახარჯები, ნაყოფის მიღების მომენტში.

კომპანია ბიოლოგიური აქტივების ცვეთის კალკულაციისთვის იყენებს წრფივ მეთოდს. ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაყოფის მომცემი ვენახები	18 - 30
სხვა ბიოლოგიური აქტივები	15 - 75

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თითოეული პროდუქტის ამყამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად გაწეული ხარჯები შემდეგნაირად აღირიცხება:

- ნედლეული: შესყიდვის ხარჯი საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით, ტრანსპორტირების ხარჯი;
- მზა პროდუქცია და დაუმთავრებელი წარმოება: მასალების და მუშახელის პირდაპირი დანახარჯები და საწარმოო ზედნადების წილი ჩვეულებრივი საწარმოო სიმძლავრის პირობებში და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

დაუმთავრებელი წარმოებიდან, მზა პროდუქციაზე გადასვლა ხდება მას შემდგომ, რაც მოხდება ღვინის ჩამოსხმა ბოთლში, რა დროსაც წყდება წარმოების პროცესი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ჩამოიწერება გაყიდული საქონლის თვითღირებულებით საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის ხარჯი.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგებაზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

- **ამონაგები ალკოჰოლური სასმელების რეალიზაციიდან.** კომპანია ამონაგებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ და უცხოურ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებს აღიარებს მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ექსპორტის შემთხვევაში კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილზე, რომელიც განსაზღვრულია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

- **ამონაგები სასტუმროს და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან.** კომპანია მომხმარებლებს აწვდის სასტუმროს მომსახურებას, საკვების და სასმელის მიწოდებას და მასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებებს. ამონაგები რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის სასტუმრო და მასთან დაკავშირებული სხვა მომსახურებები, იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

ამონაგები საკვები და სასმელის მიწოდებიდან და სხვა ერთჯერადი მომსახურებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი მოცემულ აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს. გარიგების ღირებულების გადახდა ხდება დაუყოვნებლივ, როდესაც ხდება მომხმარებლის მიერ საქონლის შესყიდვა. აქედან გამომდინარე, ამონაგების აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც ფიზიკური მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან ერთჯერადი მომსახურება არის მიწოდებული

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.
- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **ბიოლოგიური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.
- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის,

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

- **მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება.** კომპანიის მიერ აღებული მოსავალი შეფასებულია გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით მოსავლის აღების დროისთვის. ყურძნის სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსავლის აღების მომენტში საბაზრო ფასებზე დაყრდნობით. ყურძნის საბაზრო ფასით შეფასებისას კომპანია ხელმძღვანელობს საკუთარი გამოცდილებისა და დარგის ცოდნის საფუძველზე და პერიოდის განმავლობაში ყიდვის გარიგებების გათვალისწინებით.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის პერიოდის სრულმა ზარალმა შეადგინა 332 და 1,320 ლარი. კომპანიას ასევე უფიქსირდება უარყოფითი საოპერაციო შედეგი ორივე წელს.

კომპანიის არახელსაყრელი შედეგები უკავშირდება კოვიდის პერიოდში შემოსავლების და მარჟის მნიშვნელოვან შემცირებას რამაც ასევე გავლენა მოახდინა პოსტკოვიდურ პერიოდზეც. ასევე საკუთარ ვენახებზე მოყვანილი ყურძნიდან მიღებულ ზარალს რაც გამოწვეულია ძირითადად სეტყვით. კომპანია წლიდან წლამდე მუშაობს შედეგების გასაუმჯობესებლად და უკვე 2024 წელს ზარალის მიუხედავად, კომპანიამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა, როგორც საკუთარ ვენახებზე მოყვანილი ყურძნიდან მიღებული შემოსავალი, ასევე შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან.

საკუთარ ვენახებზე მოყვანილი ყურძნიდან მიღებული ზარალი გამოწვეულია იმით, რომ 2024 წელს არ იყო სეტყვა, თუმცა ვინაიდან სეტყვის შემდომ წელს არ ხდება ნაყოფის სრულად მიღება, კომპანიამ საკუთარ ვენახებზე მოყვანილი ყურძნიდან მაინც მიიღო გარკვეული ზარალი. 2025 წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში, კომპანიას არ ქონდა დასრულებული მოსავლის აღების პროცესი თუმცა აქვს მოლოდინი რომ მოსავალი იქნება გასულ წელზე გაცილებით მეტი და 2025 წელს მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით იქნება დადებითი, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს წლის შედეგებს.

2024 წელს კომპანიამ დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ზრდაზე, რამაც პოზიტიური გავლენა იქონია 2024 წელზე და კომპანია ელის, რომ ეს ტრენდი შემდგომ წლებშიც გაგრძელდება. მიდის აქტიური მუშაობა ჩინეთის ბაზარზე პოზიციების განსამტკიცებლად და სხვა ბაზრების ასათვისებლად რაც მომავალში კიდევ უფრო გაზრდის შემოსავალს ღვინის ექსპორტიდან რაც წარმოადგენს მოგების გენერირების მთავარ რესურსს.

მომავალ წლებში რეალიზაციის მოცულობის ზრდა და საკუთარ ვენახებში რენტაბელობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია იმისთვის რომ კომპანიამ შეძლოს შეუფერხებელი ფუნქციონირება.

მენეჯმენტს სჯერა, რომ კომპანიას აქვს დიდი გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი და სწორი სტრატეგიის შემუშავებით და გატარებით შესაძლებელია ბაზრების გაფართოვება და ბრუნვის და მარჟის ზრდა, რამაც უნდა უზრუნველყოს საქმიანობა შეფერხებების გარეშე. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტი თვლის, რომ საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენება მიზანშეწონილია და მომავალში კომპანია შეძლებს სტაბილური დადებითი ფულადი ნაკადების გენერირებას.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

5. ამონაგები რეალიზაციიდან და მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება

	2024	2023
შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან	4,381	3,639
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	1,174	1,125
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	1,157	1,158
შემოსავალი სპას მომსახურებიდან	133	127
სხვა შემოსავალი	214	251
სულ	7,059	6,300

მიღებული მოსავლის სამართლიანი ღირებულება შემცირებული მოყვანის დანახარჯებით:

	2024	2023
სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაწილში გადატანილი	918	206
აღებული მოსავლის (ყურძნის) სამართლიანი ღირებულება		
მოსავლის მოყვანის დანახარჯები	(1,032)	(826)
სულ	(114)	(620)

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2024	2023
რეალიზებული ღვინის თვითღირებულება (ა)	(2,708)	(2,588)
რესტორნის პირდაპირი დანახარჯები (ბ)	(1,147)	(1,137)
სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები (გ)	(738)	(767)
სხვა	(367)	(373)
სულ	(4,960)	(4,865)

(ა) რეალიზებული ღვინის თვითღირებულება

	2024	2023
წარმოების პირდაპირი დანახარჯები	(2,454)	(2,301)
ცვეთა	(254)	(287)
სულ	(2,708)	(2,588)

(ბ) რესტორნის პირდაპირი დანახარჯები

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	(381)	(364)
სამზარეულოს მარაგების ხარჯი	(380)	(432)
კომუნალური ხარჯები	(76)	(86)
ცვეთის ხარჯი	(42)	(44)
დასუფთავების ხარჯები	(25)	(27)
დეგუსტაციის ხარჯი	(76)	(59)
სხვა	(167)	(125)
სულ	(1,147)	(1,137)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება (გაგრძელება)

(გ) სასტუმროს პირდაპირი დანახარჯები

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	(381)	(364)
ცვეთის ხარჯი	(124)	(129)
კვების ხარჯი	(115)	(137)
კომუნალური ხარჯები	(76)	(86)
დასუფთავების ხარჯები	(25)	(27)
სხვა	(17)	(24)
სულ	(738)	(767)

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	(584)	(525)
ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯი	(261)	38
პროფესიული მომსახურების ხარჯები	(209)	(155)
გადასახადები	(127)	(126)
ცვეთა და ამორტიზაცია	(91)	(98)
ბანკის მომსახურების ხარჯი	(48)	(45)
მივლინების ხარჯი	(41)	(27)
საწვავის ხარჯი	(40)	(52)
იჯარის ხარჯი	(40)	(32)
კომუნიკაციის ხარჯი	(35)	(14)
რემონტის ხარჯი	(22)	(32)
დაზღვევა	(22)	(107)
საპენსიოს ხარჯი	(14)	(12)
სხვა ხარჯები	(153)	(210)
სულ	(1,687)	(1,397)

8. კომერციული ხარჯები

	2024	2023
სახელფასო ხარჯი	(373)	(337)
რეკლამის ხარჯი	(201)	(248)
ტრანსპორტირების ხარჯი	(110)	(132)
საშუამავლო ხარჯი	(39)	(25)
გამოფენის ხარჯი	(27)	(46)
ცვეთა და ამორტიზაცია	(21)	(22)
სხვა ხარჯები	(16)	(137)
სულ	(787)	(947)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. საპროცენტო ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული ფიზიკური პირისგან მიღებულ სესხებზე	(32)	(6)
საპროცენტო ხარჯი ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებულ სესხებზე	(28)	(95)
საპროცენტო ხარჯი დაკავშირებული იურიდიული პირისგან მიღებულ სესხებზე	(11)	(11)
სულ	(71)	(112)

10. შემოსავალი/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

	2024	2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	65	(7)
მიღებული სესხები	8	(17)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(2)	(18)
ფული და ფულის ეკვივალენტები	(36)	(45)
სულ	35	(87)

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	სპეციალური ავზები	საოფისე ინვენტარი და ავეჯი	რესტორნისა და სასტუმროს ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	სულ
31 დეკემბერი 2022	746	6,353	1,863	1,357	353	955	405	303	12,335
შემოსვლა	-	-	3	-	2	24	-	6	35
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	746	6,353	1,866	1,357	355	979	405	309	12,370
შემოსვლა	15	-	16	-	3	29	-	16	79
გასვლა/ჩამოწერა	(15)	-	-	-	-	-	-	-	(15)
31 დეკემბერი 2024	746	6,353	1,882	1,357	358	1,008	405	325	12,434
დაგროვილი ცვეთა									
31 დეკემბერი 2022	-	(1,697)	(1,283)	(455)	(250)	(649)	(255)	(118)	(4,707)
ცვეთის ხარჯი	-	(207)	(112)	(40)	(30)	(87)	(36)	(16)	(528)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(1,904)	(1,395)	(495)	(280)	(736)	(291)	(134)	(5,235)
ცვეთის ხარჯი	-	(200)	(83)	(35)	(25)	(79)	(31)	(17)	(470)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(2,104)	(1,478)	(530)	(305)	(815)	(322)	(151)	(5,705)
საბალანსო ღირებულება									
31 დეკემბერი 2023	746	4,449	471	862	75	243	114	175	7,135
31 დეკემბერი 2024	746	4,249	404	827	53	193	83	174	6,729

საბანკო ვალდებულებების უზრუნველყოფაში ჩადებულია: კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები.

სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები, რომელსაც კომპანია იყენებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს 2,548 ლარს, (2023: 1,065 ლარი).

12. ბიოლოგიური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ნაყოფის მომცემი ვენახები	სხვა აქტივები	სულ ბიოლოგიური აქტივები
31 დეკემბერი 2022	2,882	51	2,933
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	(12)	(36)	(48)
31 დეკემბერი 2023	2,870	15	2,885
შემოსვლა	-	-	-
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2024	2,870	15	2,885
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი 2022	(791)	(6)	(797)
ცვეთის ხარჯი	(102)	(2)	(104)
გასვლა/ჩამოწერა	1	3	4
31 დეკემბერი 2023	(892)	(5)	(897)
ცვეთის ხარჯი	(103)	-	(103)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-
31 დეკემბერი 2024	(995)	(5)	(1,000)
საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2023	1,978	10	1,988
31 დეკემბერი 2024	1,875	10	1,885

2024 წლის განმავლობაში მენეჯმენტმა განსაზღვრა, რომ შესაძლოა არსებობდეს ბიოლოგიური აქტივების გაუფასურების ინდიკატორები და აღნიშნული აქტივები შეაფასა გაუფასურებაზე. მიწა, რომელზეც გაშენებულია ვენახი (კლასიფიცირებული როგორც ძირითადი საშუალებები) და ბიოლოგიური აქტივები, ამ შეფასებისთვის განხილულ იქნა, როგორც ერთიანი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული (CGU), რადგან ვენახი და მიწა შემოსავლს აგენერირებს ერთად და არა დამოუკიდებლად. აღნიშნული CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების საფუძველზე, რეგიონში მიწის ღირებულებების შესახებ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებით. კომპანიამ აირჩია კონსერვატიული მიდგომა და მიწის ღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენა ისეთი მიწის ნაკვეთების ანალოგები, რომლებზეც არ იყო გაშენებული ვენახი. სამართლიანი ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღემატება მიწისა და ბიოლოგიური აქტივების ერთობლივ ღირებულებას. შესაბამისად, მიმდინარე წელს მიწასა და ვენახზე გაუფასურების ზარალი არ არის აღიარებული.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. გაცემული სესხები

გრძელვადიანი სესხი

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე გაცემული სესხი	ლარი	11%	2028	181	159

მოკლევადიანი სესხი

მსესხებელი	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებულ იურიდიულ პირზე გაცემული სესხი	ლარი	11%	მოთხოვნამდე	248	207
სულ სესხები				248	207
სესხის გაუფასურების რეზერვი				(248)	-
სულ				-	207

14. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაუმთავრებელი წარმოება	3,172	2,649
ნედლეული და წარმოების დამხმარე მასალა	698	680
მზა პროდუქცია	367	275
სხვა მარაგები	36	52
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები, ბრუტო	4,273	3,656
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(348)	(328)
სასაქონლო მატერიალური მარაგები, ნეტო	3,925	3,328

2024 წელს ხარჯად აღიარებულმა მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 4,960 ლარი, (2023: 4,865 ლარი)

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	1,673	2,182
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	202	243
სავაჭრო მოთხოვნები, ბრუტო	1,875	2,425
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(1,095)	(1,089)
სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	780	1,336
არაფინანსური აქტივი		
გაცემული ავანსები	27	56
შემცირება მიუღებელი თანხებით	(6)	(2)
არაფინანსური აქტივი	21	54
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	801	1,390

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

უიმედო და საეჭვო მოთხოვნებზე შექმნილი რეზერვის მოძრაობა:

	სავაჭრო მოთხოვნები	გადახდილი ავანსები	სულ
31 დეკემბერი 2022	(1,247)	(8)	(1,255)
სავაჭრო მოთხოვნის ჩამოწერა	127	-	127
მოგება/(ზარალში) აღიარებული რეზერვის ცვლილება	31	6	37
31 დეკემბერი 2023	(1,089)	(2)	(1,091)
მოგება/(ზარალში) აღიარებული რეზერვის ცვლილება	(6)	(4)	(10)
31 დეკემბერი 2024	(1,095)	(6)	(1,101)

16. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული ბანკში	19	6
ფული სალაროში	4	13
სულ	23	19

17. საწესდებო კაპიტალი და გაუნაწილებელი მოგება

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 6,563 ლარს.

2024 წლის განმავლობაში არ შეცვლილა კომპანიის დამფუძნებელთა სტრუქტურა და ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მეწილე	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს ენ ეი გრუპი	40,80%	40,80%
შპს შუხმან კაპიტალი	39,20%	39,20%
ნინო აბრამიშვილი	10%	10%
გიორგი დაქიშვილი	10%	10%
	100%	100%

შპს შუხმან კაპიტალის 100%-იანი წილის მფლობელია: ბურკჰარდ შუხმანის ფონდი (გერმანია), ხოლო შპს ენ ეი გრუპის 100%-იანი წილის მფლობელია ნინო აბრამიშვილი, შესაბამისად კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა: ფიზიკური პირი ნინო აბრამიშვილი.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. მიღებული სესხები

მოკლევადიანი სესხები

	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	ლარი	12%-12.50%	2025	549	791
დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხი	ევრო	2.5%	2025	287	198
დაკავშირებული იურიდიული პირებიდან მიღებული სესხები	ლარი	12%	მოთხოვნამდე	149	138
სულ				985	1,127

გრძელვადიანი სესხი

	ვალუტა	განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
დაკავშირებული ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხი	ევრო	2.5%	2027	297	378
სულ				297	378

ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებული გრძელვადიანი სესხის მიზნობრიობას წარმოადგენდა ვენახის გაშენება. სესხის ხელშეკრულებით კომპანიას არ აუღია ვალდებულება, რომ დაეკმაყოფილებინა გარკვეული ფინანსური კოეფიციენტები.

19. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	1,352	1,485
გადასახდელი ხელფასები	289	338
დაკავშირებული მხარის მიმართ არსებული ვალდებულებები	200	196
მიღებული ავანსები	169	142
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	68
სულ	2,020	2,229

21. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	2024	2023
შემოსავალი მომსახურებიდან	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	130	380
საპროცენტო შემოსავალი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	38	34
საიჯარო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(4)	(4)
საპროცენტო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	(31)	(24)

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

ფინანსური ანგარიშგების არე	ურთიერთობა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	733	714
გაცემული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	429	366
სავაჭრო მოთხოვნა	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	202	243
სავაჭრო ვალდებულება	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	200	196

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2024	2023
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები	571	498

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო.

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით ახსნა განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შუხმან ვაინს ჯორჯია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“ დაფუძნდა და საქმიანობა დაიწყო 2008 წელს.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ მესაკუთრეები არიან:

- შპს ენ ეი გრუპი - 40.8%
- შპს შუხმან კაპიტალი - 39.2%
- ნინო აბრამიშვილი - 10%
- გიორგი დაქიშვილი - 10%

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ დირექტორი იყო ნინო აბრამიშვილი და როლანდ ბურდიაშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- ღვინის წარმოება და რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ ბაზრებზე;
- სასტუმრო მომსახურების გაწევა;
- სარესტორნე მომსახურების გაწევა;

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგნაირად:

	2024	2023
შემოსავალი ღვინის რეალიზაციიდან	4,381	3,639
შემოსავალი სარესტორნო მომსახურებიდან	1,174	1,125
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	1,157	1,158
შემოსავალი სპას მომსახურებიდან	133	127
სხვა შემოსავალი	214	251
სულ	7,059	6,300

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

ამჟამად, კომპანია 15-ზე მეტი დასახელების ვაზის ჯიშისგან წარმოებულ პროდუქციას, კერძოდ: ღვინოს, ჭაჭას და ცქრიალა ღვინოს ამზადებს. კომპანიამ ასევე გამოუშვა, სრულიად ახალი ხაზის პროდუქციაც, კერძოდ ყურძნის წიპწის ზეთი.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის ღვინის რეალიზაციაზე, საიდანაც 80% წარმოადგენს ექსპორტზე რეალიზაციას, ხოლო 20% ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციას. კომპანია პროდუქციას 20-მდე ქვეყანაში ყიდის. შუხმანის ღვინოები ევროპის, აზიისა და აშშ/კანადის ბაზრებზეა წარმოდგენილი.

ადგილობრივ ბაზარზე კომპანია ღვინის რეალიზაციას ახორციელებს საკუთარი სადისტრიბუციო ქსელის საშუალებით.

კომპანია მომსახურებას ეწევა სასტუმრო და სარესტორნე მიმართულებით, საიდანაც გენერირებული ამონაგები შეადგენს სრული ამონაგების 33%-ს.


კომპანიის სტრუქტურა.

კომპანიის დირექტორები 2024 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყვნენ: ნინო აბრამიშვილი და როლანდ ბურდიაშვილი.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2024 წლის შემოსავალმა შეადგინა 7,059 ლარი, კომპანიის შემოსავლები 2024 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 11%-ით.



შემოსავლი ექსპორტით რეალიზაციიდან ქვეყნების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

ქვეყანა	2024	2023
მონღოლეთი	1,634	841
ჩინეთი	803	427
რუსეთი	534	402
პოლონეთი	172	246
იაპონია	99	147
სხვა	509	847
სულ	3,751	2,910

ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა წინა წელთან შედარებით. შემოსავლების ზრდა ძირითადად გამოწვეულია გლობალურ ბაზრებზე კომპანიის პოზიციების გამყარებით, ახალი საექსპორტო ბაზრების ათვისებით და მოთხოვნის ზრდით არსებული პარტნიორი ქვეყნების მხრიდან.

ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	1.54	1.44
მოგების მარჟა	28%	13%
უკუგება კაპიტალზე (ROCE)	(2.26%)	(20.12%)
სულ აქტივები	13,550	14,235
სულ შემოსავლები	7,059	6,300
დასაქმებულთა საშუალო მაჩვენებელი	136	131

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 136 (2023: 131). კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კადრებს.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიან სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია მნიშვნელოვნად არ არის დამოკიდებული ერთ მომწოდებელზე. საოპერაციო ხარჯების, გაყიდვის გეგმების და სხვა სტრატეგიული საკითხების კუთხით მენეჯმენტს აქვს მუდმივი კავშირი როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ მომწოდებლებთან და რეგულარულად ხდება შედეგების შეფასება და მომავალი სამოქმედო გეგმების შეთანხმება.

კომპანიის ძირითად კლიენტებს წარმოადგენენ არარეზიდენტები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროდუქციის ექსპორტს უცხოურ ბაზრებზე.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომპანია დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მისი საქმიანობა რეგულირდება შემდეგი მარეგულირებელი ნორმებით:

- საქართველოს კანონი „ვაზისა და ღვინის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 03 იანვრის N3 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - ყურძნის ღვინოების წარმოების ზოგადი წესების დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 19 თებერვლის ბრძანება N2-82 „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- სხვა ნორმატიული აქტები.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა, ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამავდროულად იმის ხაზგასმაც, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლის მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რომელსაც ბაზარზე გააჩნია მაღალი ცნობადობა.

კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს:

- სარეალიზაციო პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოვება
- სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირება და გაფართოვება.

კომპანია ასორტიმენტის გაფართოვებას გეგმავს საკუთარი წარმოების ვენახიდან მიღებული მოსავლით და აღნიშნული მიზნით აგრძელებს ვაზების გაშენებას. კომპანიის მიზანია წარმოება სრულად უზრუნველყოს საკუთარი ვენახიდან მიღებული მოსავლით. ყურძნის საკუთარი წარმოების პირობებში კომპანია სრულად გააკონტროლებს აგროწესების დაცვას, რაც საბოლოოდ აისახება წარმოებული ღვინის ხარისხში.

კომპანიის ხელმძღვანელობა სარეალიზაციო ბაზრების დივერსიფიცირებას გეგმავს ახალი საექსპორტო ბაზრების მოძიებით, არხების გაუმჯობესებით და მიზნობრივი მარკეტინგით ცნობადობის კიდევ უფრო ამაღლებით.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებსა და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:**

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8 284.0
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1 569.3	1 928.5
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის/მომსახურების კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, თუმცა არსებითად არის დამოკიდებული რამდენიმე მსხვილ კონტრაგენტზე. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

წარმოიქმნება ერთის მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 22 სექტემბერს:

ნინო აბრამიშვილი
დირექტორი

შპს „შუხმან ვაინს ჯორჯია“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით და განხორციელებული რეალიზაციებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ყველა სესხის საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია და შესაბამისად კომპანია არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას მნიშვნელოვან რისკად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით, 2025 წლის 22 სექტემბერს:


ნინო აბრამიძე
დირექტორი

